პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

სიდა
ჩვენ ● ვაკავშირებთ

GPAM
ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | თებერვალი 2016 წ.

# ბიულეტენი#10

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

## მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, 2013 წლის აპრილიდან ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM). წინამდებარე ბიულეტენის თემას წარმოადგენს რეინტეგრაციის მიმართულება რომელიც ქართველი მიგრანტებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ მხრივ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობენ სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელების განხრით, რაც ხელს უწყობს დაბრუნებულ მიგრანტებს სამშობლოში თვითდამკვიდრების პროცესში. მოცემული ბიულეტენი საქართველოში რეინტეგრაციის მიმართულებით არსებულ პრობლემატურ და აქტუალურ საკითხებს ეთმობა, როგორც სამთავრობო ასევე არასამთავრობო დონეზე მიმდინარე სამუშაო პროცესების კუთხით.

## რეინტეგრაცია

მიგრანტების რეინტეგრაციის საკითხი ბოლო წლების განმავლობში მნიშვნელოვან გამოწვევად დგას სახელმწიფოსთვის, რასაც მათი მხრიდან საკითხის პრიორიტეტულობა და პრობლემის გადაწყვეტისკენ მიმართული ღონისძიებებიც მეტყველებს. დაბრუნებული მიგრანტების დიდი ნაწილი ხშირად მძიმე ფსიქოლოგიური და ფიზიკური პრობლემების ქვეშ იმყოფება. სწორედ ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღება დაეთმოს მათი რეაბილიტაციის საკითხს. სარეინტეგრაციო პროექტებიც ამ კუთხით ეხმარება საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტებს.

## საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამა

2015 წელს, პირველად საქართველოში, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყო თანხა 400 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ აღნიშნული თანხა გასცა არასამთავრობო ორგანიზაციებზე სარეინტეგრაციო პროგრამების განსახორციელებლად.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის შემდეგი სერვისების მიწოდება:

- სოციალური პროექტების დაფინანსება;
- დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- პროფესიული სწავლება;
- ანაზღაურებადი სტაჟირება;
- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება;
- იურიდიული დახმარება;
- საზოგადოებრივი ინფორმირებულობის
- პროგრამების დაფინანსება;

აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფში მოიაზრებიან საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოს მუდმივი ბინადრობის ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ ჰუმანიტარული სტატუსით;
- რეინტეგრაციის პროგრამაში ჩაერთვებიან სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მიმართულება თავის მხრივ ფარავს ქ. თბილისს, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს. დანარჩენ რეგიონებში ამჟამად მიმდინარეობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამა. სახელმწიფოს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს იდენტური რეინტეგრაციის დახმარებები ეწევათ.

სახელმწიფო სარეინტგრაციო პროგრამაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებია:

- ა(ა)იპ მიგრაციის, ინტეგრაციისა და განვითარების საერთაშორისო გაერთიანება;
- ა(ა)იპ საზოგადოებრივი დამცველი;
- ა(ა)იპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“;
- ა(ა)იპ დემოგრაფიული აღორძინების ფონდი;
- ა(ა)იპ ახალგაზრდა ადვოკატები;
- ა(ა)იპ ვიპიარ ჯგუფი.

# „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის - (IOM)“ პროგრამები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად ამჟამად ახორციელებს ორ პროგრამას:

1. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა -More for More, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად ითვალისწინებს საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის მრავალმხრივ ღონისძიებებს;

2. ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა (AVRR).
More for More-ს პროგრამას IOM ახორციელებს საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან, ძირითადად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ახალდაბრუნებული იმ მიგრანტების მხარდაჭერას, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას რეინტეგრაციაში. პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტს, თუ იგი:

- არის საქართველოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც გააჩნია საქართველოში ბინადრობის უფლება;
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდა განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდა დროებითი ჰუმანიტარული სტატუსით;
- საქართველოში დაბრუნდა მობილურობის ცენტრში რეგისტრაციამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე. საქართველოში ბენეფიციარის დაბრუნების თარიღი უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული (შესაბამისი ჩანაწერი პასპორტში, ცნობა საზღვრის კვეთის შესახებ და სხვა);
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ 1 წელი და მეტი.

პროექტში მონაწილეობა არ შეუძლია პირს, თუ იგი:

- საზღვარგარეთ წასული იყო ლეგალურად სასწავლო პროგრამით ან სამუშაო კონტრაქტით;
- არის AVRR -ის “ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროექტის” ან სხვა სარეინტეგრაციო პროგრამის მონაწილე საქართველოში.

პროგრამის ფარგლებში დაბრუნებულ მიგრანტს შეიძლება გაეწიოს შემდეგი სახის დახმარება:

- აეროპორტში დახვედრა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის;
- გადამისამართება შესაბამის სახელმწიფო ან კერძო პროგრამებში ჩართვისათვის;
- დასაქმებისათვის საჭირო დოკუმენტების (CV, სამოტივაციო წერილი და სხვ.) მომზადებაში დახმარება
- პროფესიულ მომზადება/გადამზადების დაფინანსება/თანადაფინანსება
- დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ახალჩამოსული პირებისთვის, მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
- საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
- სამედიცინო დახმარება სიცოცხლისათვის საშიში მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე ბენეფიციარებისათვის;
- მცირე ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა პროექტის იმ მონაწილეებისათვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები და წინაპირობები.

მობილურობის ცენტრებში ინდივიდუალურად ხდება ცალკეული ბენეფიციარის საჭიროებების შეფასება და დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა.

AVRR-პროგრამა ითვალისწინებს მსოფლიოს 29 ქვეყნიდან დაბრუნებულ მიგრანტების მხარდაჭერას. ეს ქვეყნებია: საბერძნეთი, ბელგია, დანია, იტალია, შვეიცარია, ავსტრია, გერმანია, ესტონეთი, ჰოლანდია, ფინეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, სლოვაკეთი, პოლონეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ლუქსემბურგი, ნორვეგია ჩეხეთი, ბრაზილია, ბელარუსი, თურქეთი, უკრაინა, მაკედონია, რუმინეთი, მოლდოვა და ისრაელი.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში იმყოფებიან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით, მაგრამ უარი ეთქვათ ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე, ან არიან არალეგალური მიგრანტები და სურთ სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნება.

სარეინტეგრაციო დახმარების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება იმ ქვეყანაში, საიდანაც მიგრანტი გეგმავს დაბრუნებას. დახმარების პაკეტისა და გრანტის ოდენობა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. სარეინტეგრაციო დახმარების პაკეტისა და გრანტის ოდენობის შესახებ დაბრუნების ქვეყანა გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული ბენეფიციარის დონეზე.

## ინტერვიუ

# ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან - ნინო მესხთან

**- რამ გამოიწვია საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელება?**

ნინო მესხი: სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობის კომპონენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით და ჩვენი უწყების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელების საჭიროება განსაკუთრებით დღის წესრიგში დადგა 2011 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის რეადმისიისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმებების დადების, ისევე როგორც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის თაობაზე დიალოგის დაწყების შემდეგ. სწორედ ამ პერიოდიდან საქართველოში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა როგორც საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება მიგრაციის მართვის მიმართულებით, ასევე დაბრუნებული მოალაქეების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია. პროექტის ბიუჯეტი 3 მილიონ ლარს შეადგენდა და 2014 წლისთვის, როდესაც აღნიშნული პროექტი დასრულდა 1000-ზე მეტ სამშობლოში დაბრუნებულ ბენეფიციარს გაეწია სარეინტეგრაციო დახმარება. პროექტ „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ შემდეგ კვლავ ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო ახალი პროექტის „მეტი მეტისათვის“ დაფიანსება, რომლის იმლემენტაციას ახლაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - IOM, ახოციელებს. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში დაბრუნებული მიგრატების რეინტეგრაცია, ისევე როგორც საიფორმაციო კამპანიის წარმოება ლეგალური მიგრაციის გზებსა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე. პროექტი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ხორციელდება მობილურობის ცენტრების მეშვეობით, რომლებიც მდებარეობს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში. პროექტის საერთო ბიუჯეტი არის 375 000 ევრო და პროექტი დასრულდება 2017 წლის ივნისისთვის. ამ დრომდე სამინისტრომ ეტაპობრივად, სრულად უნდა გადაიბაროს მობილურობის ცენტრის ფუნქციები და დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყოს სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა. სწორედ აღნიშნული პროგრამები აღმოჩნდა ჩვენი გზამკვლევი სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამების დაწყების გზაზე და გასულ წელს უკვე დაიწყო სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამა სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის. აქვე, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას - IOM-ს, რომლის გამოცდილებაც, რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელების მიმართულებით, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის განხორციელებისთვის.

**- რას გულისხმობს სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამა?**

ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც საზღვარგარეთ არიან წასულები დაუბრუბდნენ მშობლიურ მიწას, ამისთვის კი პირველ რიგში, მათ დასაბრუნებლად ხელსაყრელი გარემოს შექმნა იყო საჭირო. სამშობლოში დაბრუნებული თანამემამულეებისთვის სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის განხორციელება 2015 წლიდან დაიწყო, როდესაც  საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 400 000 ლარი გამოყო, რომელიც სრულად სარეინტეგრაციო პროგრამების გახორციელებას მოხმარდა. სამინისტრომ გამოაცხადა საგრანტო პროექტი საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისათის. საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავდა ერთი მხრიც რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას, ხოლო მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის გააქტიურებას ამ

მიმართულებით. თავად აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის შემდეგი სერვისების მიწოდება: სოციალური პროექტების დაფინანსება, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, პროფესიული სწავლება, ანაზღაურებადი სტაჟირება, სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, იურიდიული დახმარება, საზოგადოებრივი ინფორმირებულობის პროგრამების დაფინანსება. თითოეული მიმართულება თავის მხრივ ფარავს ქ. თბილისს, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს. მოცემული რეგიონების შერჩევა მოხდა საჭიროების მიხედვით. დანარჩენ რეგიონებში ამჟამად მიმდინარეობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამა. სახელმწიფოს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს იდენტური რეინტეგრაციის დახმარებები ეწევათ, ამასთან ერთად აღსანიშნავია ამ ორი პროგრამის ერთმანეთთან არსებული ძალიან ოპერატიული კოორდინაცია ბენეფიციარების გადამისამართების მხრივ. სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფარგლებში ხდება აქტიური თანამშრომლობა და კოორდინაცია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მობილურობის ცენტრებთან, რათა მაქსიმალურად მოხდეს გამოცდილების გაზიარება და თანხის მიზნობრივი ხარჯვა. პროგრამის სამიზნე ჯგუფში მოიაზრებიან საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოს მუდმივი ბინადრობის ნებართვით, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ ჰუმანიტარული სტატუსით. ასევე, სამშობლოში დაბრუნებულმა პირებმა რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართვისთვის უნდა მოგვმართონ სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში.

**- რა პრინციპით შეირჩნენ არასამთავრობო ორგანიზაციები?**

ნინო მესხი: სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის დაწყებისას ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო, სარეინტეგრაციო პროგრამები განხორციელებულიყო გამჭვირვალედ და ასევე, გაგვეძლიერებინა არასამთავრობო სექტორი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს. სწორედ ამიტომ, სამინისტრომ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. მოხარულები ვართ, რომ სარეინტეგრაციო პროგრამების სახელმწიფოსთან ერთად განხორციელების სურვილი საკმაო რაოდენობის არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა. საბოლოო ჯამში, 2015 წლის აპრილის თვეში, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, კონკურსის შედეგად მოხდა გამარჯვებული არასამთავრობო ორგანზაციების შერჩევა სპეციალური საგრანტო კომისიის მიერ, რომელიც დაკომპლექტებული იყო როგორც სამინისტროს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, როგორიცაა: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD). არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელება 2015 წლის მაისის თვიდან დაიწყეს და დღეის მდგომარეობით, გასული 9 თვის განმავლობაში ბევრი წარმატებული პროექტი განხორციელდა დაბრუნებული თანამემამულეების დასახმარებლად.

**- დღეის მდგომარეობით რა მონაცემები გვაქვს?**

ნინო მესხი: რაც შეეხება სტატისტიკას, როგორც უკვე აღვნიშნე, სახელმწიფო პროგრამა დაიწყო გასული წლის მაისის თვეში და დღეის მდგომარეობით დარეგისტრირდა 178 საზღვარგარეთიდან დაბრუნებული თანამემამულე, მათგან: სამედიცინო დახმარება და მედიკამენტების დაფინანსება მიიღო სამშობლოში დაბრუნებულმა 31-მა მიგრანტმა, პროფესიული სწავლება/გამაზადება გაიარა 14-მა ბენეფიციარმა, მიკრო ბიზნეს პროექტი დაუფინანსდა 36 დაბრუნებულ მიგრანტს, ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 18-მა ბენეფიციარმა ხოლო უფასო იურიდიული დახმარება მიიღო 7-მა ბენეფიციარმა.

**- ამომავლო გეგმები როგორია? როგორ გაგრძელდება სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო პროგრამა?**

ნინო მესხი: როგორც აღვნიშნე, ევროკავშირის პროექტი დასრულდება 2017 წლის ივნისში, რის შემდეგაც სრულად სახელმწიფოს მიერ მოხდება სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. 2016 წლისთვის სარეინტეგრაციო პროგრამების გაბნსახორციელებლად 600 000 ლარია გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აქვე აღსანიშნავია რომ სარეინტგერაციო ღონისძიებები 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, სადაც დეტალურადაა გაწერილი რეინტეგრაციის მიმართულებით გასანსახორციელებელი ღონისძიებები. სამომავლოდ იგეგმება სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელების მასშტაბი გაიზარდოს და მთელი საქართველოს ტერიტორია მოიცვას. კიდევ ერთხელ მსურს აღვნიშნო, რომ რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელება საქართველოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას, რომ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც საზღვარგარეთიდან ბრუნდებიან საქართველოში ჰქონდეთ გარემოსთან რე-ადაპტაციის სრული შესაძლებლობა.

## ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორთან - გიორგი გოგიშვილთან

- **რამდენად გაამართლა პროექტებმა რომელსაც თქვენ ახორციელებთ?**

პრექტები რომლესაც ჩვენი გაერთიანება, „მიგრაციის, ინტეგრაციის და განვითარების საერთაშორისო გაერთანება“ ახორციელებს ძალზედ მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი პროდუქტია დაბრუნებული ემიგრანტებისთვის. წელს სახელმწიფომ პირველად გამოყო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები დაბრუნებული ემიგრანტების პროექტების მხარდაჭერისთვის. ეს არის მნიშვნელოვანი გზავნილი ქართული ემიგრაციისთვის. დღემდე დამოკიდებულება უფრო მიმართული იყო დიასპორიდან სარგებლის მიღებაზე. მოგეხსენებათ უცხოეთიდან გზავნილების ოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. წელს უკვე გზავნილების აშკარა კლებაა. თუ 2014 წელს გზავნილი იყო 1 მლნ. 440 ათასზე მეტი აშშ დოლარი 2015 წელს 1 მლნ. 079 ათასზეა  ეს ციფრი ჩამოსული. ერთი სიტყვით იმასაც რომ შევეხოთ რამ გამოიწვია გზავნილების კლება, რითაც უფრო კარგად დავინახავთ ამ პროექტის მნიშვნელობას.

მოგეხსენებათ ევროკავშირის ქვეყნებში მიგრაციასთან დაკავშირებით დღეს არსებული ვითარება. ეს სიტუაცია ართულებს ჩვენი ემიგრანტების ყოფას უცხოეთში. იზრდება კონკურენცია, სახელმწიფო კონტროლი არალეგალური ემიგრაციაზე და ჩნდება დასაქმების პრობლემა. ბევრი ემიგრანტი ცდილობს შეიცვალოს ქვეყანა და სხვა ქვეყანაში მოახერხოს დასაქმება, თუმცა არც სხვა ქვეყანაში ხვდებათ უკეთესი სიტუაცია. აქედან გამომდინარე ისინი ვეღარ ახერხებენ საქართველოში თანხების გადმოგზავნას. ბევრი მათგანი უკვე ორიენტირებულია ქვეყანაში დაბრუნებაზე. აი ზუსტად ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მზაობა ხელი შეუწყოს სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების საზოგადოებრივ ინტეგრაციას და მათ სამშობლოში დამკვიდრებას.

იმის ფონზე, რომ ეს პროექტი პირველად ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან და ემიგრაციაში ჯერ კიდევ არ არის ინფორმაცია ფართოდ გავრცელებული ამის შესახებ მოთხოვნა საკმაოდ დიდია. პროექტის ბენეფიციარებს ნამდვილად ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ გარკვეული მხარდაჭერა ქვეყანაში დამკვიდრებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი მოიაზრებს დაბრუნებული ემიგრანტების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებებით ნამდვილად გამართლებული იყო ამ პროექტის როგორც დაწყება, ისე გამართლებული იქნება მისი გაგრძელებაც.

- **გთხოვთ ისაუბროთ მიზეზებზე რამაც გააჩინა აუცილებლობა ამ პროგრამის განხორციელების?**

როგორც უკვე დასაწყისში ავღნიშნე ნელნელა იზრდება სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ტენდენცია. როგორც წესი ჩვენი ემიგრანტების უმეტესობა არალეგალურად არის დასაქმებული და შესაბამისად დაბალი ანაზღაურება აქვთ. უმეტესობა მათგანი ვერ ახერხებს თანხების დაზოგვას და სამშობლოში ბრუნდება მცირე ოდენობის ფინანსებით, ან საერთოდ ფულის გარეშე. საკმაოდ ხშირია დეპორტაციის შემთხვევებიც. დეპორტაციას უარესი შედეგები მოყვება და ემიგრანტები საერთოდ ვერაფრის თან წამოღებას ვერ ახერხებენ.
არალეგალურ ემიგრანტებს უცხოეთში მყოფ ლეგალურ ემიგრანტებთან შედარებით თვითრეალიზების ბევრად უფრო ნაკლები შესაძლებლობები აქვთ და ფსიქოლოგიურად ბევრად უფრო მეტი წნეხის ქვეშ უწევთ ცხოვრება. დაბრუნებულთა უმეტესობას გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს და აქაც ვერ ახერხებენ მკურნალობას, სამედიცინო მომსახურების სიძვირის გამო. ძალიან ბევრ ემიგრანტს უჩნდება იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. მოგეხსენებათ ჩვენი ემიგრაცია გამოირჩევა დიდი ხანგრძლივობით. ემიგრანტები 10, 15, 20 წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ ყოფილან  სამშობლოში. ამ პერიოდში ხშირია ოჯახის წევრების გარდაცვალება. მრავლად გვაქვს ოჯახების ნგრევის ფაქტებიც. ეს ყველაფერი მემკვიდრეობის თუ ქონების განაწილების საკითხებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ასევე მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები და სხვა.
ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა არაერთი სისტემური ცვლილება გამოიწვია და ბევრ ემიგრანტს ამ კონტექსტშიც ექმნება პრობლემები. ისინი ესე მარტივად ვერ ახერხებენ ორიენტაციას და ეს დამატებით სირთულებს უჩენთ მათ.
ამას გარდა ყველაზე დიდ პრობლემად რჩება

პროფესიული უნარ-ჩვევების დაკარგვა. მოგეხსენებათ საკუთარი პროფესიით არალეგალი ემიგრანტები ფაქტიურად ვერ ახერხებენ დასაქმებას. შესაბამისად დაბრუნების შემდეგ მათი ცოდნის დონე უკვე ისეთი დაბალია, რომ ვეღარ ერთვებიან პროფესიულ საქმიანობაში.
ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ სოციალური პროექტების დაფინანსების კომპონენტი. ემიგრანტების დიდმა ნაწილმა ემიგრაციაში წასვლის ხარჯების დასაფარავად გაყიდა უძრავი თუ მოძრავი ქონება, სოფლად მაცხოვრებლებმა გაყიდეს საქონელი. ამ მიზეზით მათ დაბრუნების შემდეგ უჭირთ საარსებო წყაროს მოძიება. სოციალური პროექტების მეშვეობით კი ისინი უკვე თვითდასაქმების გზებს პოულობენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი სამშობლოში დამკვიდრებისთვის.
ფაქტიურად ჩვენ უკვე შევეხეთ რეინტეგრაციის პროგრამის კომპონენტებს და აქვე გავაგრძელებ მათ ჩამოთვლას. სოციალური პროექტების დაფინანსების გარდა პროგრამა მოიაზრებს: პირველადი სამედიცინო დახმარების დაფინანსებას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას, პროფესიული გადამზადების კურსების დაფინანსებას, ანაზღაურებად სტაჟირებას და იურიდიულ დახმარებას. ეს არის ის ძირითადი საჭიროებები რაც გამოიკვეთა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წლების მანძილზე განხორციელებულ სარეინტეგრაციო დახმარების პროექტებში. სწორედ ამ გამოცდილების საფუძველზე მოხდა სახელმწიფო პროგრამის კომპონენტების შერჩევა და ისინი ნამდვილად პასუხობენ არსებულ საჭიროებებს.

**- რა პრინციპით შეირჩა „მიგრაციის, ინტეგრაციის და განვითარების საერთაშორისო გაერთანების“ წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ამ საგრანტო პროექტებს?**

გაერთიანების წევრების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი იყო მიგრაციის და ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებული გამოცდილების არსებობა. დღეს ამ გაერთიანებაში შვიდი ორგანიზაციაა. ეს არასამთავრობო ორგანიზაციებია: „მინერვა“ , „სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი „მომავალი“, „ემიგრანტები სამოქალაქო განვითარებისთვის“, „ემიგრანტი“, „მიგრაციის ინფორმაციისა და განვითარების ცენტრი „ხიდი“, „მერკური“ და „მიგრაციის ცენტრი“.
ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან ხუთი ორგანიზაცია უშუალოდ სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების მიერ არის დაფუძნებული და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები მათი ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა. დანარჩენი ორი ორგანიზაცია, „მერკური“ და „მომავალი“ ეს უკვე ის ორგანიზაციებია, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებრივი ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობაში. შესაბამისად რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისთვის გაერთიანებას ძალიან კარგი წინაპირობები გააჩნდა, რაც აისახა კიდეც საგრანტო კონკურსის შედეგებზე. გამოცხადებული თოთხმეტი საგრანტო მიმართულებიდან დღეისათვის შვიდს ახორციელებს ჩვენი გაერთიანება.

**- რა პრობლემებს წააწყდით მუშაობის პროცესში?**

მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო და შრომატევადი გამოდგა. ყველაზე დიდი პრობლემა შეიძლება ითქვას ემიგრაციაში სახელმწიფო რეინტეგრაციის პროგრამაზე არსებული არასწორი ინფორმაციის არსებობაა. როგორც უკვე ავღნიშნეთ ეს პროგრამა დაიწყო სულ რამდენიმე თვეა და ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არის კარგად გავრცელებული. ამ მიზეზით ხშირად ხდება არევა სხვა რეინტეგრაციის პროგრამებში.
ორიოდე სიტყვით რომ განვმარტოთ: დღეს ქვეყანაში მოქმედებს ორი ძირითადი რეინტეგრაციის პროგრამა, ერთი სახელმწიფო და მეორე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა. ამ ორი პროექტის გარდა კიდევ არის შედარებით ვიწრო პროფილის პროექტები, რომლებიც შეზღუდულია ან კონკრეტულ ქვეყნებზე ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე. თითოეულ ამ პროექტს თავისი კრიტერიუმი გააჩნია და შესაბამისად სხვა მხარდაჭერის ფორმებს თუ სხვა ოდენობის ფინანსურ დახმარებას მოიაზრებს. სწორედ ამ პროგრამებში ხდება სახელმწიფო პროგრამის არევა.

აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე დაბრუნებულ ემიგრანტებში ჩნდება არასწორი მოლოდინები. უშუალოდ პროგრამასთან შეხების შემდეგ კი მათ უკვე უცრუვდებათ იმედები და უჩნდებათ შთაბეჭდილება რომ ისინი მოატყუეს. სწორედ ამ შთაბეჭდილებების გაქარწყლება, სრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, მათი გადარწმუნება არის ძალიან დიდი გამოწვევა ბენეფიციარებთან ურთიერთობის პროცესში. რეგიონალური წვდომა ესეც ერთ-ერთი დიდი პრობლემაა პროექტის. მოგეხსენებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ იმხელა რესურსი, რომ ყველა რაიონული ცენტრში ქონდეთ თავისი წარმომადგნელობა. ჩვენც შესაბამიად გადანაწილებული ვართ რეგიონებში, მაგრამ გვაქვს თითო ოფისი: სამეგრელო, ზემო-სვანეთს ემსხურება ზუგდიდის ოფისი, შიდა ქართლს და სამცხე-ჯავახეთს კასპში არსებული ოფისი და მცხეთა მთიანეთს, ქვემო ქართლს და თბილისს ერთი ოფისი. შესაბამისად ბენეფიციარებს ხშირად უჭირთ გადაადგილება და ჩვენამდე მოსვლა.

ასევე რთულია რეგიონების სრული მასშტაბით ინფორმაციის გავრცელება, მათი სიდიდის გამო. სახელმწიფო მხრიდან ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, მაგრამ ეს კამპანია ვერ აღმოჩნდა საკმარისი და საჭიროა უფრო ფართო მასშტაბის კამპანიის ჩატარება.

**- როგორ მოქმედებთ ამ პრობლემების გადაჭრისთვის?**

ინფორმაციის დაზუსტებასთან დაკავშირებით მიდის ინდივიდუალური მუშაობა თითოეულ ბენეფიციართან. ძალიან დიდ დროს ვუთმობთ ამ საკითხს. თითოეულ ემიგრანტს თავის მხრივ ხომ გააჩნია ემიგრანტთა წრე სადაც ისინი ავრცელებენ ამ ინფორმაციას. ესეთი გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოსული არაერთი

ბენეფიციარი გვყავს. ამიტომ ერთი ბენეფიციარის გათვითცნობიერება ამ პროგრამის კრიტერიუმებზე და დახმარების სახეებზე ირიბად რამდენიმე სწორად ინფორმირებულ ემიგრანტს გვაძლევს. ტერიტორიული გადანაწილების პრინციპზე შედარებით ნაკლები გავლენის მოხდენა შეგვიძლია. თუმცა აქაც ვახერხებთ შედარებით შევუმსუბუქოთ ფინასური და დროის ხარჯი ბენეფიციარებს. უფრო გასაგებად რომ ავხსნა ორიოდე სიტყვით პროგრამის მუშაობის პრინციპს შევხედოთ.

სახელმწიფო რეინტეგრაციის პროგრამაზე გავრცელებული ინფორმაცია მოიცავს სატელეფონო ცხელ ხაზებს, უპირველესად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის და რეპატრიაციის დეპარატამენტის ცხელ ხას. ასევე თითოეული გრანტის განმახორციელებელი ორგანიზაციის სატელეფონო ნომერს. შესაბამისად უმეტეს შემთხვევაში პირველადი კონტაქტი არის სატელეფონო, მხოლოდ მეორე ეტაპზე ხდება უშუალოდ ბენეფიციართან შეხვედრა. უმეტესწილად მიგრაციის და რეპატრიაციის დეპარტამენტი ამისამართებს ბენეფიციარებეს შესაბამის რეგიონალურ წარმომადგენლობაში თუ ორგანიზაციის ცენტრალურ ოფისში. ჩვენც ამავდოულად ვღებულობთ ბენეფიციარის საკონტაქტო ინფორმაციას იმავე დეპარტამენტიდან. ჩვენ ჩვენის მხრივ ვუკავშირდებით ბენეფიციარს და უკვე მათთან ვათანხმებთ შემდგომ დეტალებს. ზუსტად ამ მომენტს ვიყენებთ ბენეფიციარის სასარგებლოდ და მახსიმალურა ვცდილობთ ბენეფიციარს მივცეთ ინფორმაცია საჭირო დოკუმენტებზე, საგრანტო პირობებზე და ა.შ. ასეთი მომზადებული ჩამოსვლა უმეტეს შემთხვევაში თავიდან აცილებს ბენეფიციარს რეგიონალური წარმომადგენლობაში მეორედ ჩამოსვლის აუცილებლობას.
რაც შეეხება საინფორმაციო კამპანიას ამ კონტექსტში უკვე ვიყენებთ პარტნიორულ ქსელებს და ისეთ პროექტებს, რომლების ფარგლებშიც გვაქვს საშუალება მოსახლეობასთან შეხვედრის. ამ შეხვედრებზე ვავრცელებთ ინფორმაციას რეინტეგრაციის პროგრამაზე, ვავრცელებთ საინფორმაციო საგრანტო მიმართულების ფორმატში შექმნილ ბროშურებს და ვცდილობთ მაქსიმალურად გავავრცელოდ ინფორმაცია. თავისთავად ვიყენებთ ჩვენს დიასპორულ კონტაქტებს და სოციალურ მედიას.

**- მომავალში როგორ წარმოგიდგენიათ პროგრამის განვითარება?**

საგრანტო კოკურსში გამარჯვების შემდეგ გაიმართა შეხბედრა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრთან, ბატონ სოზარ სუბართან და მიგრაციის და რეპატრიაციის დეპარატამენტის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ეს არის პირველი სახელმწიფო რეინტეგრაციის პროგრამა და შეიძლებოდა მას მივდგომოდით როგორც საპილოტეს. თამამად შეგვეთავაზებინა ცვლილებების რეკომენდაციები, გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს და საგრანტო პროგრამის დაწყებიდან დღემდე არაერთი რამ შეიცვალა. სამინიტრო ასევე მზად არის გაითვალისწინოს გრანტის განმახორციელებელი ორგანიზაციების რეკომენდაციაები სამომავლოდ საგრანტო პირობების განვითარებისთვის.
ჩვენი ხედვით მნიშვნელოვანი იქნებოდა რეგიონალური პრინციპის შეცვლა და პროგრამის უფრო მეტ რეგიონად დაყოფა, მაგალითად შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის გაყოფა ბევრად გაადვილებდა გრანტის განხორციელებას.
ასევე სასურველია მოხდეს მიმართულებების გაერთიანება. დღეისათვის კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში სხვადასხვა ორგანიზაციები ახორციელებენ სხვადასხვა საგრანტო მიმართულებებს, მაგალითად: თბილისში,მცხეთა მთიანეთში და ქვემო ქართლში პროფესიულ სწავლებაში ჩართვას და სოციალური პროექტების დაფინანსებას ახდებს ჩვენი ორგანიზაცია, ხოლო სამედიცინო დახმარების და ანაზღაურებადი სტაჟირების მიმართულებებზე მუშაობს ა/ო „სამოქალაქო დამცველი“. ეს ხშირად დაბნეულობას იწვევს ბენეფიციარებში და საზოგადოებაში. ამიტომ სასურველი იქნება მომვალში რეგიონალური პრონციპით გაერთიანდეს ყველა მიმართულება და ერთმა ორგანიზაციამ განახორციელოს ყველა სერვისი. ასევე სასურველი იქნებოდა შესაძლებელი გამხდარიყო მიმართულებებს შორის თანხების გადათამაშება. მაგალითად სოციალური პროექტების დაფინანსებაზე და სამედიცინო დახმარებაზე ბევრად დიდი მოთხოვნილებაა ვიდრე ანაზღაურებად სტაჟირებაზე. სოციალური პროექტებზე გამოყოფილი თანხა ჩვენს შემთხვევში უკვე ამოიწურა და მიუხედავად მოთხოვნისა ვერ ვახერხებთ ბენეფიციარების მიღებას ამ მიმართულებაზე. გადათამაშების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა თანხის გადმოტანა და ბენეფიციართა მომსახურება.

**- ამ ეტაპზე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე თუ შეგიძლიათ ზოგადად ისაუბროთ?**

პროექტის დაწყებიდან რვა თვის თავზე ჩვენს გაერთიანებაშაში გადმომისამართდა 104 ბენეფიციარი. სოციალური პროექტზე რეგისტრირებულია ორმოცდაოთხი ბენეფიციარი. დაფინანსდა ცხრამეტი სოციალური პროექტი. პროფესიული გადამზადების მიმართულებაში ჩართულია ცხრამეტი ბენეფიციარი. სამედიცინო დახმარებას პროექტიდან იღებს 10 ბენეფიციარი. ანაზღაურებადი სტაჟირების ბენეფიციარი ჯერჯერობით არ გვყავს. რეგისტრირებულთაგან ვინც ჩვენთან ვერ მიიღო სერვისი, რეგიონალური კუთვნილების, სხვა მიმართულების შერჩევის თუ სხვა რაიმე მიზეზით გადამისამართდა პარტნიორ ორგანიზაციებში.

# ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ პროექტის მენეჯერთან - დალი მგელიაშვილთან

**- რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში რა აქტივობებს ახორციელებს თქვენი ორგანიზაცია?**

საზოგადოებრივი დამცველი სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის ფარგლებში ახორციელებს 2 პროექტს, რომელიცაა „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა სტაჟირება“ და „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა სამედიცინო დახმარება და მედიკამენტური უზრუნველყოფა“.

მოგახსენებთ უფრო დეტალურად, მიმართულება - ანაზღაურებადი სტაჟირება გულისხმობს სამთვიან ანაზღაურებად პროგრამას, რომლის მიზანია, ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების ხელშეწყობა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება. აღსანიშნავია რომ, ბევრი მათგანი ემიგრაციაში ყოფნისას არ მუშაობდა საკუთარი პროფესიით, შესაბამისად ან საერთოდ არ მიეცა საშუალება განვითარებულიყო საკუთარ პროფესიაში, ანდა ჩამორჩა თანამედროვე სიახლეებს.

ამ პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს თბილისიდან, მცხეთა-მთიანეთიდან და ქვემო ქართლიდან ეძლევათ პროგრამაში მონაწილეობის საშუალება. ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში ჩართულობით, ვეხმარებით მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში და პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებაში.

რაც შეეხება სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა სამედიცინო მომსახურეობის მიმართულებას, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უმეტეს მათგანს აღენიშნებათ გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც დაუყოვნებლივ დახმარებას საჭიროებს, ხშირ შემთხვევაში კი მათ არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსი სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად. შესაბამისად მიგრანტთა სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამა გულისხმობს მათ მომსახურეობას საყოველთაო ჯანდაცვით გარანტირებული სამედიცინო მომსახურეობის ჩათვლით. ასევე მათ საჭიროებისამებრ გადამისამართებას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ექიმთან ვიზიტის და გამოკვლევების ჩასატარებლად და ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც ფინანდება პროექტის ფარგლებში.

**- გთხოვთ ისაუბროთ მიზეზებზე რამაც გააჩინა აუცილებლობა ამ პროგრამის განხორციელების?**

მიგრაცია საქრთველოსთვის ერთერთი პრობლემური საკითხია. უმუშევრობა, დაბალი ანაზღაურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნიდან მოსახლეობის გადინებაში. უმეტეს შემთხვევაში მიგრანტთა მთავარი მიზანი სამუშაოს შოვნა და საქართველოში დარჩენილი ოჯახის ფინანსური დახმარებაა.

მოგეხსენებათ, რომ წლების მანძილზე მიმდინარეობდა საქართველოს მოქალაქეების მასობრივი მიგრაცია ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ხოლო მათი სამშობლოში დაბრუნების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო, ბუნებრივია მოსახლეობის მასობრივი გადინება სამშობლოდან უარყოფითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე და თავისმხრივ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი მიგრანტებიც ხშირად გამოწვევის წინაშე დგებიან. ისინი მოწყვლადნი არიან არაერთი პრობლემის მიმართ, რაც საზოგადოებაში ხელახალ ინტეგრირებას და სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

მოგეხსენებათ რომ სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტები სხვადასხვა პრობლემას აწყდებიან და უჭირთ საზოგადოებაში და გარემოსთან ხელახალი ინტეგრირება. არის არაერთი შემთხვევა, როდესაც ისინი იძულებული არიან კვლავ ემიგრაციაში წავიდნენ, ვინაიდან ვერ შეძლეს დასაქმება და საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

სწორედ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებრივი დამცველი, როგორც გამარჯვებული ორგანიზაცია უზრუნველყოფს სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთათვის სარეინტეგრაციო დახმარების სერვისების მიწოდებას. ჩვენი მიზანია ერთობლივი ძალისხმევით დავეხმაროთ ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნებულ მოსახლეობას საზოგადოებაში ხელახალ ადაპტაციაში და სამშობლოში დარჩენის მოტივაციის ამაღლებაში. აუცილებელია მათ მიეცეთ ღირსეული რეინტეგრაციის

საშუალება, რათა შემცირდეს და აღარ მოხდეს მათი ქვეყნიდან ემიგრაციაში ხელახალი გადინება.

**- მოსახლეობისგან რა რეაქციას/შედეგებს იღებდით პროგრამის განხორციელების პროცესში?**

პროგრამა გასული წლის მაისის თვიდან მიმდინარეობს და აღსანიშნავია, რომ პროექტის ჩაშვების პირველი ეტაპიდანვე იგრძნობოდა მოსახლეობის მხრიდან მაღალი ინტერესი და მომართვიანობა ზემოაღნიშნულ პროგრამაში ჩართულობის თვალსაზრისით.

სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობა და ყურადღება სამშობლოში დაბრუნებული თითოეული მიგრანტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. თავისთავად ყოველივე ეს გავლენას ახდენს მათ სამშობლოში დაბრუნების მოტივაციაზე და სურვილზე, რომ საკუთარი ცოდნა და პოტენციალის გამოვლენა შეძლონ საქართველოს ფარგლებს შიგნით.

**- ამ ეტაპზე არსებულ მონაცემებზე თუ შეგიძლიათ ზოგადად ისაუბროთ?**

შემიძლია მოგახსენოთ იმ მიგრანტების/ბენეფიციარების შესახებ, რომლებიც რეგისტრირებული გვყავს მონაცემთა ბაზაში, როგორც სამედიცინო მომსახურეობის ასევე ანაზღაურებადი სტაჟირების მიმართულებით.

ამჟამინდელი მონაცემებით, მათ უმეტესობას უკვე გაეწიათ მომსახურეობა.

სტაჟირების კომპონენტში ჩართული ბენეფიციარების ნაწილმა წარმატებით დაამთავრა პროგრამაში მონაწილეობა. ზოგიერთი მათგანი კი ამჟამად გადის სტაჟირებას სხვადასხვა დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველი პირების მომსახურეობა კვლავ პროგრესშია, ჩვენ მუდმივად ვახდენთ ბენეფიციართა ინდივიდუალური კვალიფიკაციის განსაზღვრას, მათი უნარ-ჩვევების და სურვილის გათვალისწინებით, რათა თითოეულს შევთავაზოს მათთვის შესაბამისი სტაჟირების კურსი.

სამედიცინო მიმართულებით არაერთ ბენეფიციარს გაეწია კონსულტაცია/ინფორმირება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ. გადამისამართდნენ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის გამოკვლევები და მოხდა მათი საჭიროებების განსაზღვრა. აგრეთვე ბენეფიციარებს გაეწიათ მედიკამენტური დახმარება, დაუფინანსდათ რენდგენოლოგიური გამოკვლევები და რამოდენიმე ბენეფიციარს დაუფინანსდა ოპერაცია თანადაფინანსების პრინციპით.

**- მომავალში როგორ წარმოგიდგენიათ პროგრამის განვითარება?**

დღეისათვის არსებული მონაცემებით, რაც გულისხმობს ბენეფიციართა მომართვიანობას და პროექტით გათვალისწინებულ კომპონენტებში ჩართულობის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს რეინტეგრაციის პროგრამის წარმატებით მიმდინარეობაზე.

ვფიქრობ პროგრამა თავის აქტუალობიდან გამომდინარე სამომავლოდაც წარმატებით გააგრძელებს მუშაობას, იქნება უფრო ფართომასშტაბიანი და კიდევ ბევრ ადამიანს მიეცემა საშუალება მასში ჩართულობის, რაც თავისთავად გულისხმობს საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ღირსეული რეინტეგრაციის უზრუნველყოფას.

## კვლევის მიმოხილვა

### „მიგრაციის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი და ქვემო ქართლი)“

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ნათია ჭელიძე

საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდის ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული მაღალი ინტენსიურობის შრომითი მიგრაცია კვლავაც გრძელდება. ბოლო ხანს საერთაშორისო ხასიათი მიიღო ქართველი შრომითი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების და საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი რეინტეგრაციის ხელშეწყობის ღონისძიებებმა. თუმცა ამ პროცესს აფერხებს საქართველოს შრომის ბაზრებზე სამუშო ძალის მიწოდება-მოთხოვნის მკვეთრად გამოხატული დისბალანსი- იკვეთება დაბრუნებულთა ხელახალი ლტოლვა საზღვარგარეთისაკენ. ასეთ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს შრომის ბაზრის პოლიტიკის სწორად განხორციელება, დაბრუნების ხელშეწყობისა და დაბრუნებულთა რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების, მეწარმეობის წახალისების, ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში ინვესტიციების მოზიდვისა და ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამების განხორციელების გზით. აუცილებლობა მოითხოვს შემუშავდეს ისეთი მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც, საერთო ჯამში, მოემსახურება კარგად მართული ლეგალური მიგრაციისგან სარგებლის მიღებას: მიგრანტთა ფულადი გზავნილების პოტენციალის გაზრდასა და დანაზოგების შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართვას. 2015 წლის პირველ ნახევარში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ერთობლივი კვლევითი პროექტის „მიგრაციის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის 6 თვითმმართველ ერთეულში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოდან შრომით მიგრაციაში მყოფთა და მიგრაციიდან დაბრუნებულ პირთა რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის შესაძლებლობების გამოვლენა, შეძენილი უნარების შესწავლა, საკუთარი მეურნეობის წამოწყების მიმართ მზაობა და ფულადი გზავნილების პოტენციალის გამოყენების ინოვაციური მიდგომების ძიება ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. „თოვლის გუნდის“ მეთოდით გამოიკითხა 360 შინამეურნეობა, მათ შორის 150 დაბრუნებული შრომითი მიგრანტი და 210 შინამეურნეობა, რომლის წევრი შრომით მიგრაციაშია წასული. ამას გარდა, საკონსულტაციო შეხვედრები შედგა მიგრაციის მართვის სფეროში მონაწილე 60 სპეციალისტთან/ექსპერტთან.

ექვსივე თვითმმართველ ერთეულში გამოკითხულ შინამეურნეობათა შორის 45%-მდე ოთხსულიანი შინამეურნეობებია. გამოკითხული შინამეურნეობების წევრთა 68% ეკონომიკურად აქტიურია. თუმცა აქედან მხოლოდ 40%-ია დასაქმებული. შესაბამისად, შინამეურნეობების წევრთა 87% ფინანსურად არიან დამოკიდებულნი მიგრაციაში მყოფ ოჯახის წევრზე და მიგრანტიანი შინამეურნეობების შემოსავლებშიც მნიშვნელოვანი წილი ფულად გზავნილებს უკავია. ექვსივე თვითმმართველ ერთეულში გამოკითხულ შინამეურნეობათა საშუალო შემოსავალი 302 აშშ დოლარია (მიმდინარე ფულადი გზავნილების გარეშე). შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ძირითადი წყაროა დაბრუნებულ მიგრანტთა შინამეურნეობების 71%-ისთვის. 11%-ისთვის კი დღესაც მნიშვნელოვანია მიგრაციიდან ჩამოტანილი დანაზოგი. განსხვავებული მდგომარეობაა მიგრანტიანი შინამეურნეობის შემოსავლების სტრუქტურაში. მართალია, შემოსავლების ძირითადი წყარო მიგრანტიანი შინამეურნეობების 42%-ისთვისაც მათი შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია, თუმცა უფრო მნიშვნელოვან წყაროდ რჩება მიგრანტთა გზავნილების წილი, რაც 47%-ს უტოლდება.

კვლევის შედეგების თანახმად, საშუალოთვიური

გზავნილის ოდენობა 409 აშშ დოლარს შეადგენს. მიგრანტთა 2/3-ზე მეტი ფულს აგზავნის ყოველთვიურად. ფულადი გზავნილები ძირითადად იხარჯება საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და განათლების მიღების მიზნით. მეტად მცირე ნაწილი ხმარდება ბიზნესის დაწყებასა და დანაზოგების შექმნას.

ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების მესამედი, საერთო ჯამში, გარკვეული ნაწილის დაზოგვას ახერხებს. თუმცა ეს დანაზოგი ხმარდება ავტომანქანის ან/და უძრავი ქონების შეძენას. როგორც გამოკითხვით ირკვევა, შინამეურნეობების დიდი ნაწილი დანაზოგის არსებობის შემთხვევაშიც კი არ გახსნიდა ბანკში ანაბარს, რაც ფინანსური განათლების სიმწირითა და საბანკო სექტორის მიმართ უნდობლობით აიხსნება.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების ერთ-ერთი მოტივი რესპონდენტთა ნაწილისთვის იყო სამშობლოში ბიზნესის დაწყება, შესაბამისად, ექვსივე თვითმმართველ ერთეულში გამოკითხული შინამეურნეობების 22% ეწევა ბიზნეს საქმიანობას (აღნიშნული ბიზნესსუბიექტების თითქმის ნახევარი ვაჭრობაშია ჩართული, 15% საქმიანობს სოფლის მეურნეობის დარგში, 6%-ს აქვს საცხობი, 4%-ს - სწრაფი კვების ობიექტი, სასადილო და ა.შ.). მიგრანტიან შინამეურნეობებს უმეტესწილად არ აქვთ საკმარისი ფინანსები და ნაკლებადაც რისკავენ ბიზნესის დაწყებას, აქედან გამომდინარე, მიგრანტიანი შინამეურნეობების მხოლოდ 17% არის ბიზნესსუბიექტი. დაბრუნებულ მიგრანტებს კი დანაზოგიც მეტი აქვთ (მათი უმეტესობა ამიტომაც რისკავს დაბრუნებას სამშობლოში), ასევე დაბრუნებულ მიგრანტებს საზღვარგარეთ სრულყოფილ საბაზრო გარემოში თავისებური ცოდნა და ზოგადი უნარებიც აქვთ შეძენილი, შესაბამისად მათი 27% ეწევა მეწარმეობას.

მიგრანტთა შინამეურნეობების მხოლოდ ერთი მესამედი ახერხებს შემოსავლების გარკვეული ნაწილის დაზოგვას, დაბრუნებული მიგრანტების შინამეურნეობებში კი ინტერვიუერს პასუხობდნენ თავად დაბრუნებული მიგრანტები და მათი თქმით, 36%-იც ახერხებდა გარკვეული ნაწილის დაზოგვას, ხოლო 6% ფულადი გზავნილების მნიშვნელოვან ნაწილსაც კი ზოგავდა.

აქედან გამომდინარე, საკუთარი მეურნეობის წამოსაწყებად გამოკითხული შინამეურნეობების 65% ძირითადად დაეყრდნო საზღვარგარეთ დაგროვილ სახსრებს, შინამეურნეობების მეხუთედმა კი ბანკის კრედიტი გამოიყენა. სამწუხაროდ, მათი საწარმოების ზომა მეტად მცირეა. თითქმის ნახევარში მხოლოდ თავად რესპონდენტი მუშაობს, აღნიშნული საწარმოების 40%-ში დასაქმებულია მხოლოდ 2-დან 4 კაცამდე.

გამოკითხულ შინამეურნეობებში მოტივაცია - გაზარდონ შემოსავლები და შექმნან შემოსავლის საკუთარი წყარო - დიდია. შინამეურნეობების 60% მზად არის დანაზოგების არსებობის ან დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში წამოიწყოს ბიზნესი. მათგან მეოთხედი მიესალმება დონორი ორგანიზაციის მხრიდან გრანტის სახით თანადაფინანსების პირობით ბიზნესის დაწყებას, თუკი თანამონაწილეობა მათი მხრიდან ბიზნესის ღირებულების 40%-50%-მდე იქნება. თუმცა რესპონდენტთა მესამედზე მეტს ურჩევნია, გრანტი ბიზნესის ღირბეულების 100% იყოს. არცთუ მცირე ნაწილია, ვისაც ბიზნესკონსულტაციები და ტექნიკური დახმარება სჭირდება ბიზნესაქტივობისთვის.

ბიზნესის არმქონე შინამეურნეობებსა და ბიზნესსუბიექტებს შორისაც აღმოჩნდნენ ისეთი რესპონდენტები, რომლებსაც არც ბიზნესის დაწყების და არც გაფართოების სურვილი არ აქვთ მიუხედავად დონორი ორგანიზაციის ფინანსური დახმარებისა ან/და ბიზნესტრენინგების შეთავაზებისა. ბიზნესსუბიექტებთან ინტერვიუს პროცესში გაირკვა უარის მიზეზი- მათ ნამატი წარმოებული პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციისთვის სათანადო ბაზარი არ ეგულებათ და წვალებად არ უღირთ წარმოების და მომსახურების გაზრდა. ბიზნესის არმქონეთ კი გამოუცდელობა, წარუმატებლობისა და ვალების დადების შიში აფერხებთ.

უახლოეს წლებში შინამეურნეობები საკუთარი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მთავარ პირობად შეღავათიან კრედიტზე ხელწვდომას ასახელებს, ამ პირობაზე რესპონდენტთა პასუხების 2/3 მოდის. არანაკლებ აფიქრებთ მომხმარებელთა გაფართოების საკითხი, ახალ ბაზრებზე გასვლის აუცილებლობა და ბიზნესის მართვის ცოდნის გაღრმავება.

დაბრუნებულ მიგრანტებს დაესვათ კითხვა, თუ რა სახის დახმარება იქნებოდა უკეთესი მათი რეინტეგრაციისთვის. რესპონდენტთა პასუხების 47% მოდის მათთვის სამუშაო ადგილების შექმნის მოთხოვნაზე; 21%- ბიზნესის განხორციელებისთვის ინფორმაციულ-კონსულტაციურ ხელშეწყობაზე; 14%- პროფესიული გადამზადების უფასო კურსებზე; 10% ითხოვს ფინანსურ დახმარებას ბიზნესის დაწყებისთვის, ხოლო 5 2%- უფასო სამედიცინო მომსახურებას.

კვლევამ აჩვენა, რომ დაბრუნებული მიგრანტები ნაკლებად არიან ინფორმირებული რეინტეგრაციის პროგრამებზე. არაერთი

სარეინტეგრაციო პროგრამა ხორციელდება საქართველოში, მაგრამ გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედმა ისარგებლა მათი სერვისით. ბიზნესის დაწყებისა და გაფართოების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროგრამების ბენეფიციარების დიდი ნაწილი მიუთითებს გამოყოფილი თანხის სიმცირეზე, შესაბამისად, ამ პროექტების წარმატებული განხორციელების მიუხედავად, ბენეფიციართა რაოდენობაც ჯერ კიდევ მცირეა და მათი რეინტეგრაციის პროცესიც სუსტია.

დაბრუნებულ მიგრანტთა 22 3%-ს გადაწყვეტილი აქვს კვლავ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა. მიგრაციული განწყობა ასევე არანაკლები წილით შეინიშნება მიგრანტიან შინამეურნრობებში. რეემიგრაციის გადამწყვეტი მიზეზი სამშობლოში უმუშევრობაა და საზღვარგარეთ მიღებული შრომითი ანაზღაურებით ოჯახის წევრთა დახმარების აუცილებლობაა. რესპონდენტთა მესამედმა დაასახელა საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრებთან გაერთიანების სურვილიც; იმ დაბრუნებული მიგრანტებიდანაც, ვინც გამოკითხვის მომენტში მუშაობდა, 17%-ს მაინც აქვს განმეორებითი მიგრაციის განზრახვა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების, მოწყვლადი ჯგუფებისთვის მიკრო და  მცირე ბიზნესის ხელშეწყობის, პროფესიული მომზადება-გადამზადების, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მიმართულებით აქტიურად ხორციელდება სამთავრობო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ პროგრამები, განსაკუთრებით ბოლო წლებში. პროგრამების საქმიანობის შედეგების შეფასებას და შინამეურნეობების განვითარების სტაბილურობის შეწავლას  საფუძვლიანი კვლევა სჭირდება, მათი საქმიანობის, პირობების, პრიორიტეტების, შეფასების და შერჩევის კრიტერიუმების, განხორციელების მექანიზმის, მენტორობისა და მონიტორინგის მექანიზმის დეტალური გაცნობა და შესწავლა უნდა გახდეს მიგრაციის მართვის ახალი სქემის შემუშავების წინაპირობა, რაც, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მიგრანტის პოზიტიური მონაწილეობის გაზრდას და სამშობლოში მიგრანტთა  რეინტეგრაციას.